

შპს „აღმშენებლობა-ს.მ.ბ.“

მმართველობის ანგარიშგება

საქართველო, ქ. ბათუმი
2023 წელი

შ ი ნ ა რ ს ი

1. დირექტორის მიმართვა.
2. საქმიანობის ანგარიში
3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.
4. კომპანიის განვითარების პერსპექტივები

1. დირექტორის მიმართვა

შპს „ეკონომიკა-აუდიტ“-ის დირექტორს

ბატონ მალხაზ ქარცივაძეს

შპს „ აღმშენებლობა სმბ“-ს ს/კ 245433829

დირექტორის მიმართვა

წარმოგიდგენთ შპს „აღმშენებლობა სმბ“-ს 2022 წლის ფინანსურ ანგარიშს, რომლის ვალდებულებაც მოქმედი კანონის მიხედვით გაგვიჩნდა პირველად 2018 წლიდან.ამასთან გაცნობებთ, რომ შპს „აღმშენებლობა სმბ“ რეგისტრირებულია 1999 წლის 10 სექტემბერს.რეგისტრაციის დღიდან ვარ დირექტორი.

შპს „აღმშენებლობა სმბ“ დამფუძნებელნი:

ფ/პ მურმან ბაკურიძე პ/ნ 61001005681, საქართველოს მოქალაქე 50% წილით.

ფ/პ სულეიმან ბაურიძე პ/ნ 61001018529, საქართველოს მოქალაქე 50% წილით.

ჩვენი საწარმოს იურიდიული მისამართია ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის # 2,ფაქტიურად სავაჭრო საქმიანობას ვახორციელებთ ქ ბათუმში , ორბელიანის #24-ში და ლეონიძის # 25-ში,სადაც ხდება სარეალიზაციო საქონლის მიღება-დასაწყობება და შემდგომ რეალიზაცია.

ჩვენი საწარმოს საქმიანობა მრავალდარგობრივია,ამჟამად ვახორციელებთ სამშენებლო მასალებით, კერძოდ რკინის პროფილებით,მილებით, არმატურით,ლითონის ფურცლებით და სხვა მასალებით ვაჭრობას.

ფირმას ქ თბილისში ერისთავის ქ #2-ში გააჩნია სავაჭრო ობიექტი, რომელიც ამჟამად იჯარით არის გაცემული.

ჩვენს საწარმოში საქმიანი პროცესების სწორად წარმართვის მიზნით ჩამოყალიბებული გვაქვს მწყობრი სტრუქტურული სისტემა. აპარატი დაკომპლექტებული გვყავს გამოცდილი იურიდიული, ფინანსური და სხვა სპეციალობის მქონე პირებით.

ჩვენი საწარმოს უმთავრესი ამოცანაა ყოველწლიურად გავზარდოთ ეკონომიკური მაჩვენებლები და შევინარჩუნოთ დასაქმებულთა რაოდენობა.

მენეჯერთა გუნდი წარმატებით გავართმევთ თავს საზოგადოების თანმიმდევრული და დაბალანსებული განვითარების ამოცანებს.

ჩვენი საწარმოს ფინასური მაჩვენებლები ასახულია წარმოდგენილ ანგარიშში.

შპს „აღმშენებლობა სმბ“-ს

დირექტორი:



მურმან ბაკურიძე

2. საქმიანობის ანგარიში

შპს „აღმშენებლობა-ს.მ.ბ.“ დაფუძნებულია 1999 წლის 30 აგვისტოს. იურიდიულიმისამართია ქ. ბათუმი ს. ზუბალაშვილის ქუჩა # 2. , ხოლო ფაქტიურად საქმიანობას ეწევა ქ ბათუმში, ორბელიანის ქუჩა # 16 და ლეონიძის ქ. # 25.


კომპანიის დამფუძნებლებია არიან მურმან ბაკურიძე (პ/ნ 61001005681) 50 % წილი და სულეიმან ბაკურიძე (პ/ნ 61001018529) 50% წილი.

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი.


შპს „აღმშენებლობა-ს.მ.ბ.“-ს დირექტორად არჩეულია მურმან ბაკურიძე (61001005681).

შპს „აღმშენებლობა-ს.მ.ბ.“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.


1. საოპერაციო შემოსავლები 2021-2022 წლებში:



2. დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2022-2021 წლებში



3. მენეჯმენტის ხელფასის დინამიკა 2021-2022 წწ.



3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.

2022 წლის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები:

- მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი =
$$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} =$$

$$= \frac{15\,820\,125}{769\,437} = 20,56$$

- აქტივების ბრუნვა =
$$\frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{სულ აქტივები}} = \frac{32\,747\,396}{20\,179\,452} =$$

$$= 1,62$$

- ძ. ს. გამოყენების ინტენსივობა =
$$\frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{ძ.საშუალების ღირებულება}} = \frac{32\,747\,396}{4\,355\,171} =$$

$$= 7,52$$

4. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

შპს “აღმშენებლობა ს.მ.ბ.”-ის უახლოესი პერსპექტივაა ეკონომიკური მაჩვენებლებისა და საქმიანობის მოცულობის ზრდა. ამ მიზნით ყოველწლიურად რეკონსტრუქცია უტარდება სავაჭრო ობიექტს და ხდება საქმიანობის გაფართოვება.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2023 წლის 15 მაისს

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მურმან ბაკურიძე

რუსუდან აბულაძე

30.08.2023 წ.

4. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

შპს "აღმშენებლობა ს.მ.პ."-ის უახლოესი პერსპექტივაა ეკონომიკური მარეგულაციებისა და საქმიანობის მოცულობის ზრდა. ამ მიზნით ყოველწლიურად რეკონსტრუქცია უტარდება სავაჭრო ობიექტს და ხდება საქმიანობის გაფართოვება.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2023 წლის 15 მაისს


დირექტორი




მურმან ბაკურიძე

30.08.2023 წ.

მთავარი ბუღალტერი



რუსუდან აბულაძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ადმშენებლობა-ს.მ.ბ.“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე
2. დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე
3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
4. სრული შემოსავლების ანგარიშგება
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
7. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს აღმშენებლობა სმბ-ს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე; გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით
- და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2. დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აღმშენებლობა-ს.მ.ბ.“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, ცალკეული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „აღმშენებლობა-ს.მ.ბ.“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6,272,414 ლარს (6,048,558 ლარს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს ან/და ალტერნატიული მეთოდებით მიგვეღო რწმუნება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასეულობების რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც წარმოდგენილი იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, შედეგად ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით და აგრეთვე გამოყენებულ მარაგებთან დაკავშირებით, რაც შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „აღმშენებლობა-ს.მ.ბ.“-გან

ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას რომელიც შეტანილია წლიურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

მოსაზრება სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა “ბუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ.

აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა მას შემდეგ, რაც იგი ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი და ამის შემდგომ გამოვხატავთ აზრს არის თუ არა სხვა ინფორმაცია მატერიალურად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს მიღებული ინფორმაციასთან, ან თუ ადგილი ექნება მატერიალურ უზუსტობებს, წარმოვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი მოსაზრებაა:

✓ ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისია ფინანსურ ანგარიშგებასთან

✓ მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ

არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად ჩვენ მივმართავთ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განხრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანხრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ

აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი

მალხაზ ქარცივაძე

.....

შპს „ეკონომიკა-აუდიტი“-ს სახელით

2023 წლის 30 აგვისტო

აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი

მალხაზ ქარცივაძე



შპს „ეკონომიკა-აუდიტი“-ს სახელით

2023 წლის 30 აგვისტო

3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „აღმშენებლობა-ს.მ.ბ.“

ლარი

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული	411,786	311,527	631,741
ფული საბანკო ანგარიშზე	5,337,231	4,142,243	1,557,118
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	2,726,401	3,777,005	2,871,042
მოთხოვნა გაცემული სესხებიდან	-	-	-
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	0	28,524	28,339
გადახდილი ავანსები	862,109	2,413,809	477,631
მარაგები	6,272,414	6,048,558	7,405,995
გადახდილი გადასახადები	210,183	-	188,847
სულ მიმდინარე აქტივები	15,820,125	16,721,668	13,160,714
გრძელვადიანი აქტივები			-
ძირითადი საშუალებები	2,730,821	2,772,770	1,959,629
დაუმთავრებელი მშენებლობა	1,624,350	-	144,374
ინვესტიცია შვილობილში	-	-	-
არამატერიალური აქტივები	4,157	6,167	8,179
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,359,328	2,778,937	2,112,182
სულ აქტივები	20,179,452	19,500,604	15,272,896
მიმდინარე ვალდებულებები:			
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	673,312	867,672	371,077
გადასახდელი გადასახადები	-	104,076	-
მიღებული ავანსები	96,125	67,095	30,037
სულ ვალდებულებები	769,437	1,038,844	401,114
საწესდებო კაპიტალი	2,000	2,000	2,000
გადაფასების რეზერვი	30,125	30,125	30,125
გაუნაწილებელი მოგება	19,377,890	18,429,636	14,839,657
სულ კაპიტალი	19,410,016	18,461,761	14,871,782
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	20,179,452	19,500,605	15,272,896

დირექტორი

მურმან ბაკურიძე

მთავარი ბუღალტერი

რუსუდან აბულაძე

4. სრული შემოსავლების ანგარიშგება

შპს „აღმშენებლობა-ს.მ.ბ.“

ლარი

	2022 წელი	2021 წელი
შემოსავლები:		
მთლიანი საოპერაციო შემოსავალი	32,879,267	44,134,860
ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი	131,872	229,000
წმინდა ამონაგები	32,747,396	43,905,860
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:	29,916,330	37,999,870
საერთო მოგება	2,831,066	5,905,990
საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	575,521	605,478
იჯარა	46,050	46,050
საოფისე ხარჯები	3,934	7,175
კომუნიკაციის ხარჯი	4,690	7,418
ტრანსპორტირების ხარჯები	191,966	147,520
კომუნალური ხარჯები	22,559	15,902
დაცვის ხარჯი	11,695	9,153
ბუღალტერია/აუდიტი/კონსულტაცია/ნოტარიუსი	20,000	37,233
საბანკო მომსახურების ხარჯები	14,315	16,136
ცვეთა და ამორტიზაცია	205,373	191,009
უიმედო ვალების ჩამოწერა	-	-
ქონების/მიწის გადასახადი	28,659	21,628
მივლინება	-	-
სხვა ხარჯი	63,732	66,583
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	1,188,492	1,171,285
საოპერაციო მოგება/ზარალი	1,642,574	4,734,704
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	1,215	191
მიღებული დივიდენდი		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	900,028	798,079
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1,151,027	258,404
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება (ზარალი)	1,390,360	5,274,188

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მურმან ბაკურიძე
30.08.2023 წ.

რუსუდან აბულაძე

4. სრული შემოსავლების ანგარიშგება
შპს „ადმშენებლობა-ს.მ.ბ.“
ლარი

შემოსავლები:	2022 წელი	2021 წელი
მთლიანი საოპერაციო შემოსავალი	32,879,267	44,134,860
ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდვითი საქონელი	131,872	229,000
წმინდა ამონაგები	32,747,396	43,905,860
გაყიდვითი საქონლის თვითღირებულება:	29,916,330	37,999,870
საერთო მოგება	2,831,066	5,905,990
საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	575,521	605,478
იჯარა	46,050	46,050
საოფისე ხარჯები	3,934	7,175
კომუნიკაციის ხარჯი	4,690	7,418
ტრანსპორტირების ხარჯები	191,966	147,520
კომუნალური ხარჯები	22,559	15,902
დაცვის ხარჯი	11,695	9,153
ბუღალტერია/აუდიტი/კონსულტაცია/ნოტარიუსი	20,000	37,233
საბანკო მომსახურების ხარჯები	14,315	16,136
ცვეთა და ამორტიზაცია	205,373	191,009
უიმედო ვალების ჩამოწერა	-	-
ქონების/მიწის გადასახადი	28,659	21,628
მივლინება	-	-
სხვა ხარჯი	63,732	66,583
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	1,188,492	1,171,285
საოპერაციო მოგება/ზარალი	1,642,574	4,734,704
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	1,215	191
მიღებული დივიდენდი	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	900,028	798,079
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1,151,027	258,404
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება (ზარალი)	1,390,360	5,274,188

დირექტორი

მურმან ბაკურიძე
30.08.2023 წ.



მთავარი ბუღალტერი
რუსუდან აბულაძე

5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს „აღმშენებლობა-ს.მ.ბ.“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
31.12.2020 წაშთი	2,000	14,839,658	30,125	14,871,782.74
საკუთარი კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)				-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2021		5,274,188		5,274,188
დივიდენდის გაცემა		1,684,211		1,684,211
გადაფასების რეზერვი		-		-
31.12.2021 წაშთი	2,000	18,429,635	- 30,125	18,461,760
საკუთარი კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)				-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2021		1,390,361		1,390,361
დივიდენდის გაცემა		442,105		442,105
გადაფასების რეზერვი		-		-
31.12.2022 წაშთი	2,000	19,377,891	- 30,125	19,410,016

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მურმან ბაკურიძე

რუსუდან აბულაძე

30.08.2022 წ.

5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს „ალმშენებლობა-ს.მ.ბ.“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
31.12.2020 წაშთი	2,000	14,839,658	30,125	14,871,782.74
საკუთარი კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)				-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2021		5,274,188		5,274,188
დივიდენდის გაცემა		1,684,211		1,684,211
გადაფასების რეზერვი		-		-
31.12.2021 წაშთი	2,000	18,429,635	- 30,125	18,461,760
საკუთარი კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)				-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2021		1,390,361		1,390,361
დივიდენდის გაცემა		442,105		442,105
გადაფასების რეზერვი		-		-
31.12.2022 წაშთი	2,000	19,377,891	- 30,125	19,410,016

დირექტორი

მურმან ბაკურიძე

30.08.2022 წ.



მთავარი ბუღალტერი

h. ბერიძე

რუსუდან აბულაძე

6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შპს „აღმშენებლობა-ს.მ.ბ.“

ლარი

	2022 წელი	2021 წელი
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	39,444,204	50,679,138
ავანსად მიღებული თანხები	727,414	139,394
სესხის პროცენტის მიღება	-	-
სულ შემოსული თანხები	40,171,617	50,818,532
საოპერაციო ხარჯები:		
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(36,869,254)	(45,235,803)
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	(440,174)	(457,224)
სესხის პროცენტის დაფარვა	(7,987)	(191)
გადახდილი გადასახადები	(790,900)	(1,290,285)
სულ გაცემული თანხები	(38,108,316)	(46,983,504)
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	2,063,301	3,835,028
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
სესხის მიღება	15,532	400
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	15,532	400
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
დივიდენდის გაცემა	(420,000)	(1,600,000)
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	(420,000)	(1,600,000)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	1,658,833	2,235,428
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	4,453,770	2,188,859
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	70,680	164,362
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(434,266)	(134,879)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	5,749,017	4,453,770

დირექტორი

მურმან ბაკურიძე

30.08.2023 წ.

მთავარი ბუღალტერი

რუსუდან აბულაძე

6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შპს „აღმშენებლობა-ს.მ.ბ.“

ლარი

	2022 წელი	2021 წელი
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	39,444,204	50,679,138
ავანსად მიღებული თანხები	727,414	139,394
სესხის პროცენტის მიღება	-	-
სულ შემოსული თანხები	40,171,617	50,818,532
საოპერაციო ხარჯები:		
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(36,869,254)	(45,235,803)
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	(440,174)	(457,224)
სესხის პროცენტის დაფარვა	(7,987)	(191)
გადახდილი გადასახადები	(790,900)	(1,290,285)
სულ გაცემული თანხები	(38,108,316)	(46,983,504)
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	2,063,301	3,835,028
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
სესხის მიღება	15,532	400
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	15,532	400
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
დივიდენდის გაცემა	(420,000)	(1,600,000)
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	(420,000)	(1,600,000)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	1,658,833	2,235,428
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	4,453,770	2,188,859
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	70,680	164,362
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(434,266)	(134,879)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	5,749,017	4,453,770

დირექტორი

მურმან ბაკურიძე

30.08.2023 წ.



მთავარი ბუღალტერი

რუსუდან აბულაძე

7. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერი

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

შ.პ.ს. „აღმშენებლობა-ს.მ.ბ.“ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ფულად ერთეულში - ქართული ლარი და მასში მოქცეულია ყველა ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. ამონაგების აღიარება

კომპანია შემოსავლებს აღირებს დარიცხვის მეთოდით ყოველდღიურად გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

3. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

4. მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან გახდა განაწილებული მოგება. კომპანიას მოგების განაწილება დივიდენდის სახით უფიქსირდება 2022 წელს 442 105 ლარი.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ძირითადი

საშუალებები კლასიფიცირებულია გამოყენების ფორმის შესაბამისად. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

<i>ძირითადი საშუალების ჯგუფი</i>	<i>სასარგებლო პერიოდის ვადა</i>
შენობები	20 წელი
მანქანა დანადგარები	5 წელი
ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	5 წელი
სპეციალური ტექნიკა	10 წელი

ცვეთის თანხის აკუმულირება ხდება ცალკე საბალანსო ანგარიშებზე და არ ხდება აქტივების ღირებულების პირდაპირი შემცირება.

თუ არსებობს რამე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება შესაბამისად.

6. არამატერიალური აქტივები

ცალკე ანგარიშზე აისახება არამატერიალური აქტივები, რომელიც შედგება ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებისგან. არამატერიალური აქტივების ცვეთის ნორმა განსაზღვრულია 10-20%-ით.

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომლებიც კომპანიის მიერ გამოიყენება საქმიანობის პროცესში, საბალანსო ანგარიშებზე მათი ასახვა ხდება გამოყენების ფორმის მიხედვით (სარეალიზაციო საქონელი და საწვავ საცხები მასალები).

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის მიერ სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერა ხდება მათი რეალიზაციის/გახარჯვისთანავე. სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომელთა ფასი მცირეა და მათი გამოყენება ხდება დროის უმცირეს მონაკვეთში (სამეურნეო

და საკანცელარიო საქონელი) პირდაპირ აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშებში, ხარჯებში.

8. სავაჭრო ვალდებულებები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საქონელზე ან მომსახურებებზე სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებისას კონტრაგენტი საბალანსო ანგარიშებში ფორმირდება გადახდილი ან გადასახდელი ღირებულების ფორმის შესაბამისად დებიტორად ან კრედიტორად, თუმცა განგრძობადი ურთიერთობის შემდგომ არ ხდება მისი საბალანსო მდგომარეობის შეცვლა და შესაბამისად აღნიშნულ ანგარიშებზე შესაძლოა წარმოიშვას უარყოფითი ნაშთი. დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

გარკვეული პერიოდულობით გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

9. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

10. ხარჯად აღიარება

მოგება ზარალის ანგარიშებში ხარჯების აღიარება ხდება მიღებულ საქონელზე ან მომსახურებაზე ყველა უფლების სრულად მიღების მომენტში გაცემული ან გასაცემი კომპენსაციის ოდენობით.

11. ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

12. რისკები და გაურკვევლობები

კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა მოზიდული სახსრებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს დამფუძნებლების უკუგების მაქსიმიზაცია. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს განზრახული აქვთ, მომავალშიც განაგრძონ ბიზნესი.

კომპანიის საქმიანობაში რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს და არის კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი.

საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- სავალუტო რისკს

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიას საქმიანობის მიმართულებიდან გამომდინარე გააჩნია დებიტორული დავალიანება სხვადასხვა მომხმარებლებთან გარკვეული პერიოდების განმავლობაში, ხშირ შემთხვევაში თანხების ამოსაღებად შეიძლება საჭირო გახდეს სასამართლოს წესით დავა.

სავალუტო რისკი

კომპანიის მიერ განხორციელებული გარკვეული ტრანზაქციები წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად წარმოიშვება საკურსო სხვაობები.

კომპანიის ოპერაციების დიდი ნაწილი ხორციელდება ლარში. სირთულე წამოიშვება სავალუტო კურსისგან, რომელიც ჩნდება კომპანიის შენაძენებიდან, რომლებიც ძირითადად ხორციელდება დოლარში.

13. შემოსავლები 2021-2022 წელი.

ლარი

	2022 წელი	2021 წელი
საოპერაციო შემოსავლები		
შემოსავლები სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან	32,747,396	43,905,860
სულ საოპერაციო შემოსავლები	32,747,396	43,905,860
არასაოპერაციო შემოსავლები		
დადებითი საკურსი სხვაობა	9,369	7,420
საპროცენტო შემოსავალი	-	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	890,659	790,659
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	900,028	798,079
სულ შემოსავალი	33,647,424	44,703,939

14. ხარჯები 2021-2022 წელი.

ლარი

	2022 წელი	2021 წელი
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	29,916,330	37,999,870
სხვა საოპერაციო ხარჯები	1,188,492	1,171,285
უარყოფითი საკურსო სხვაობა	121487.49	29,105
საპროცენტო ხარჯი	1214.79	191.36
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1029539.59	229299.25
სულ ხარჯები	32,257,064	39,429,751

15. მოგება/ზარალი

	2022 წელი	2021 წელი
სულ შემოსავალი	33,647,424	44,703,939
სულ ხარჯი	32,257,064	39,429,751
მოგება	1,390,360	5,274,188

16. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შემდეგია:

ლარი

	2022 წელი 31 დეკემბერი	2021 წელი 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	411,786	311,527
თიბისი ბანკი	1428234.23	1428222.81
პროკრედიტ ბანკი	1,924,139	1,839,933
საქართველოს ბანკი	1,984,858	874,087
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	5,337,231	4,142,243
სულ ფულადი სახსრები	5,749,017	4,453,770

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022 წელი 31 დეკემბერი	2021 წელი 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები		
შპს ზიმო-7	-	163,050
შპს ენერჯი ინვესტი 2009	23,866	808,090
შპს ვექტორი	-	1,920
შპს პრემიუმ ჯგუფი	40	-
შპს ზიმო-7	-	163,050
შპს სევენ სთარ კონსტრაქშენ	80,278	80,278
შპს გრინ რეზიდენსი	83,292	84,272
მშენებელი + შპს	101,384	101,384
შპს ციტადელი	102,989	
შპს გრანდთაუერი	214,412	214,412
შპს ელგიგა	555,897	414,756
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	1,564,242	1,745,794

სულ სავაჭრო მოთხოვნები	2,726,401	3,777,005
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	0	28,524
გადახდილი ავანსები		
შპს ორიონი, 211359689	0	122
SONMEZLER METAL	4063.81	28,050
TOSCELIK	22561.05	25,864
სხვა გადახდილი ავანსები	835,484	2,359,773
სულ გადახდილი ავანსები	862,109	2,413,809
სულ მოთხოვნები	3,588,510	6,219,339

18. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ლარი	2021 წელი 31 დეკემბერი	2021 წელი 31 დეკემბერი
სამშენებლო მასალები (რეალიზაციისთვის გამიზნული)	6,269,835	6,040,409
საწვავ-საცხები მასალები	2,579	8,150
სულ საქონელი	6,272,414	6,048,558

19. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

ლარი

ძირითადი
საშუალებები

	მიწა	შენობები	დამთავრებული მშენებლობა	მანქანა - დანადგარები და აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	სპეციალური ტექნიკა	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	-	2,135,553	144,379	88,011	94,545	58,054	2,520,542
შემოსავალი	845,000	154,940	2,888	1,300	1,130	-	1,005,258
გასავალი	-	-	(147,268)	-	(5,476)	-	(152,744)
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	845,000	2,290,492	(0)	89,311	90,199	58,054	3,373,056
შემოსავალი	-	150,712	1,624,350	-	3,436	-	1,778,498
გასავალი	-	-	-	-	-	-	-
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	845,000	2,441,204	1,624,349	89,311	93,635	58,054	5,151,554
დაგროვილი ცვეთა							-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	321,028	-	12,159	70,302	13,050	416,539
წლის ცვეთა	-	155,308	-	15,134	16,589	1,966	188,997
გასული აქტივის ცვეთა	-	-	-	-	(5,250)	-	(5,250)
2021 წლის 31 დეკემბერი	-	476,336	-	27,293	81,641	15,016	600,286
წლის ცვეთა	-	162,304	-	14,944	16,884	1,965	196,097
გასული აქტივის ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	638,640	-	42,238	98,525	16,981	796,383
საბალანსო ღირებულება							-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	1,814,525	144,379	75,851	24,243	45,004	2,104,003
2021 წლის 31 დეკემბერი	845,000	1,814,157	(0)	62,017	8,558	43,038	2,772,770
2022 წლის 31 დეკემბერი	845,000	1,802,565	1,624,349	47,073	(4,890)	41,073	4,355,171

20. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

ლარი

საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერი	8,179
გასული არამატერიალური აქტივები	0
შემოსული არამატერიალური აქტივები	0
მიმდინარე ცვეთა	2,012
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერი	6,167
გასული არამატერიალური აქტივები	0
შემოსული არამატერიალური აქტივები	0
მიმდინარე ცვეთა	2,010
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერი	4,157

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი

	2022 წელი 31 დეკემბერი	2021 წელი 31 დეკემბერი
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	673,312	867,672
KEFILI SANAY BISSE	-	10,724
შპს დ.მ.ს. ჯგუფი, 445450306	106,292	106,292
აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო,	423,000	638,000
BASATLI,	-	43,251
სხვა ვალდებულებები	144,020	69,405
მიღებული ავასები	96,125	67,095
გადასახდელი გადასახადები	-	104,076
სულ ვალდებულებები	769,437	1,038,844

22. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან შპს დ.მ.ს. ჯგუფი და ასევე სულეიმან ბაკურიძე (პ/ნ 61001018529) 50% წილის მფლობელი საწარმოში და მურმან ბაკურიძე (პ/ნ 61001005681) 50% წილის მფლობელი საწარმოში.

საანგარიშგებო წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები:

	2022	2021
ტრანზაქციის დასახელება	ურთიერთობა	ტრანზაქციის თანხა
იჯარის ხარჯი	მაკონტროლებელი (წილის მფლობელი) ფიზიკური პირი	46050
გაცემულ სესხზე დარიცხული სარგებელი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	0

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები პერიოდის ბოლოს შემდეგნაირად გამოიყურება:

31 დეკემბერი, 2022 31 დეკემბერი, 2021

ურთიერთობა	დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ბალანსი	დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ბალანსი
მისაღები სესხის პროცენტი	16	16
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები		
შვილობილი კომპანია	16	16
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	112,432	143,682
მაკონტროლებელი (წილის მფლობელი) ფიზიკური პირი	118,572	249,974

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არაფერი მომხდარა ისეთი, რაც უნდა იყოს ნახსენები, მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 15 მაისს

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მურმან ბაკურიძე

რუსუდან აბულაძე

30.08.2023 წ.

6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შპს „აღმშენებლობა-ს.მ.პ.“

ლარი

	2022 წელი	2021 წელი
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	39,444,204	50,679,138
ავანსად მიღებული თანხები	727,414	139,394
სესხის პროცენტის მიღება	-	-
სულ შემოსული თანხები	40,171,617	50,818,532
საოპერაციო ხარჯები:		
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(36,869,254)	(45,235,803)
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	(440,174)	(457,224)
სესხის პროცენტის დაფარვა	(7,987)	(191)
გადახდილი გადასახადები	(790,900)	(1,290,285)
სულ გაიღებული თანხები	(38,108,316)	(46,983,504)
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	2,063,301	3,835,028
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
სესხის მიღება	15,532	400
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან	15,532	400
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
დოვიდენდის გაცემა	(420,000)	(1,600,000)
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	(420,000)	(1,600,000)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	1,658,833	2,235,428
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	4,453,770	2,188,859
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	70,680	164,362
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(434,266)	(134,879)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	5,749,017	4,453,770

დირექტორი

მურმან ბაკურიძე

30.08.2023 წ.



მთავარი ბუღალტერი

რუსუდან აბულაძე